ესგ

ESG ECT

საინჟინრო გეოლოგიური და გეოფიზიკური კვლევების საწარმო

ქ.თბილისი დიღმის მასივი 3/20/47 ტელ. 954247, 877460216. ელ-ფოსტა: ESGGEO@yahoo.com, Sergo_gogmachadze@yahoo.com

საექსპერტო დასკვნა

ქ.თბილისში, ყიფშიძის ქუჩაზე, ავტოსადგურის მიმდებარე,მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებულ საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგებზე.

მოქალაქე ზაზა ციცვაძის თხოვნის საფუძველზე 2011 წლის სექტემბრის თვეში საინჟინრო-გეოლოგიური და გეოფიზიკური კვლევების საწარმო „ესგ"-ში, ჩემ მიერ შემოწმდა,ზემოთ დასახელებულ მისამართზე,მშენებლობისთვის გამოყოფილ უბანზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევების შედეგები, შესრულებული ს.ს."საქქალაქმშენპროექტის" ინჟინერ გეოლოგ ნ.ოლაშვილის მიერ 2006 წლის იანვარში.

შემოწმების მიზანი: მშენებლობისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე,საინჟინრო გეოლოგიური კვლევის მოქმედ სამშენებლო ნორმებთან და დავალებასთან შესაბამისობა.

საექსპერტოდ წარმოდგენილი ანგარიში აკინძულია ალბომის სახით.ის შედგება: თავფურცლისაგან,სარჩევისაგან,ტექნიკური დავალებისაგან,მიწერილობისაგან და კვლევის შედეგების ტექნიკური ნაწილისაგან,დასკვნებით და რეკომენდაციებით(გვ. 1-10),გრუნტების ლაბორატორიული გამოცდების შედეგების ცხრილით(გვ.11-12)და გრაფიკებით (გვ.13-24), სამი დანართით:

დანართი 1 - გრუნტების სიმკვრივის ნორმატიული და საანგარიშო მნიშვნელობების გამოთვლა . (ფენა 1) გვ.25-27

დანართი 2 - გრუნტების სიმკვრივის ნორმატიული და საანგარიშო მნიშვნელობების გამოთვლა . (ფენა 2) გვ.28-30

დანართი 3 - გრუნტების სიმკვრივის მახასიათებლების (φ° და c კპა) ნორმატიული და საანგარიშო მნიშვნელობების გამოთვლა (ფენა 2) გვ 31-35
და გრაფიკული ნაწილისაგან 7 ფურცელზე.

წინამდებარე სარეცენზიო საინჟინრო გეოლოგიური კვლევა და ანგარიში ჩატარებულია და შედგენილია ს.ნ. და წ.1.02.07-87 1.19 პუნქტის მე-2 [illegible] 3.1.122;3.56;

3.75-ის,მე-8 და მე-9 დანართისა ს.ნ. და წ.2.02.01-83-ის,ს.ნ. და წ.2.02.03-85 და სტანდარტი 25100-82-ის მოთხოვნათა საფუძველზე.

საკვლევ უბანზე მიწერილობით გაყვანილია 3 ჭაბურღილი, საერთო სიგრძით 98.5 გრ/მ-ი.

ტერიტორიის ამგები გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების შესასწავლად აღებულია დარღვეული სტრუქტურის 6 და დაურღვეველი სტრუქტურის 18 ნიმუში: მათ შორის ნაყარიდან - 6 და თიხოვანი გრუნტიდან 12.

ჭაბურღილების გაყვანის ადგილები და მათი ჰიფსომეტრიულად განლაგების ნიშნულები,მოცემულია გრაფიკული ნაწილის პირველ ფურცელზე, ხოლო ლითოლოგიური სვეტები და მისი შესაბამისი გეოლოგიური ჭრილები 2-7ფურცელზე.

ჩატარებული კვლევის საფუძველზე შესწავლილ უბანზე, გავრცელებულ გრუნტებში, გამოყოფილია 4 ფენა საიდანაც ავტორს, შენობის საძირკვლის ქვემ ,აქტიურ ზონაში გამოყოფილი აქვს 2 საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი (სგე) მათი განლაგება და სიმძლავრე ძირითადად იცვლება სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით.

1.ნაყარი ფენა (tQ_{IV})-სიმძლავრით 9,0-13.2მ-ი. წარმოდგენილია ტექნოგენური გრუნტით - თიხის, ღორღის, კენჭების, ლოდებისა და სამშენებლო ნარჩენებით.

2.ტბიური ნალექების ფენა(ℓQ_{IV}) მაქსიმალური სიმძლავრით32 მეტრი, წარმოდგენილია თიხოვანი გრუნტებით : მყარპლასტიკურიდან ნახევრად პლასტიკურ მოყვითალო-მოყავისფრო თიხა-თიხნარებით, ქვიშნარის მძიმე შემავსებლით.

3.ძირითადი ქანის (P_2^3) ფენა ძლიერ გამოფიტული.

4.ძირითადი ქანის(P_2^3) ფენა სუსტად გამოფიტული.

ანგარიშში დასკვნები და რეკომენდაციები ასახულია 8 პუნქტით. (გვ.8-11) რომელსაც ძირითადად ვეთანხმებით. მიუხედავად ამისა მაქვს შემდეგი შენიშვნები:

1. მე-3 გვერდზე ქვევიდან მე-6 აბზაცში გასასწორებელია სიტყვათა თანწყობა და დალაგდეს შემდეგნაირად : ..... დარღვეული სტრუქტურის 6 და დაურღვეული სტრუქტურის 18 ნიმუში, მათ შორის : ნაყარიდან - 6 და თიხოვანი გრუნტიდან 12 მონოლითი.

2. მე-5 გვერდზე პირველ აბზაცში განმარტებას მოითხოვს თუ რას გულისხმობს ავტორი „ხილულ სიმძლავრეში“

3. მე-6 გვერდზე ბოლოდან მეორე აბზაცში , სადაც ლაპარაკია ნაყარ გრუნტში ბევრი რაოდენობით ნატეხოვანი მასის არსებობით ნიმუშების კომპრესიაზე და ძვრაზე გამოცდის შეუძლებლობასთან დაკავშირებით. ჩვენი აზრით ტერ[illegible]ის

გეომორფოლოგიური და პალეორელიეფის დახრილობიდან გამომდინარე (ნაყარი გრუნტი სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით უთანხმოებით განფენილია 20 გრადუსზე მეტი დახრილობის რელიეფზე. იხ. ფურცელი 7 ჭრილი III – III[ჩ]). სნდა წ 1.02.07-87 პ.პ.42-ის საფუძველზე უნდა ჩატარებულიყო დინამიკური ან სტატიკური ზონდირება, რაც საშუალებას მოგვცემდა ნაყარი გრუნტის მექანიკური და ფიზიკური მახასიათებლების შედარებით უფრო ზუსტად განსაზღვრას და საჭიროების შემთხვევაში ანგარიშის ჩატარებას მეწყრული ტანის მდგრადობაზე. აქვე აღვნიშნავთ, რომ ზემოთაღნიშნული მეთოდი მიწერილობის გარათში, საკვლევი პროგრამით არ იყო გათვალისწინებული.

4. მე-7 გვერდის ცხ. N2-ში შესასწორებელია დეფორმაციის მოდულის E მპა (კგძ/სმ) სიდიდეები, რომელიც მოცემულია მხოლოდ კგძ/სმ -ში, ასევე საჭიროა p კგძ/სმ ნაჩვენები იქნეს კპა-ში.

5.მიუხედავად იმისა, რომ ზემოთაღნიშნული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა ჩატარებულია 2006 წელს და პროექტირება ხორციელდება 2011 წელს , დღეს ქვეყანაში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების „სეისმომედეგი მშენებლობა“ (პნ 01.01-09) მიხედვით კვლევის შედეგების დასკვნის მეხუთე პუნქტი (გვ.9) უნდა იქნას ანულირებული და საკვლევი ტერიტორიის სეისმურობა უნდა დადგინდეს ამავე ნორმის (პნ 01.01-09)-ის ცხრილი 1-ის (გვ5) მოთხოვნების საფუძველზე - სპეციალური კვლევის შედეგად, რომელიც უნდა განახორციელოს შესაბამისმა სპეციალიზირებულმა ორგანიზაციამ.

6. გრაფიკული ნაწილის ფურცელი 1 (ტოპოგეგბა) უნდა გაფორმდეს სტანდარტის მოთხოვნათა საფუძველზე (წარწერები,შტამპი და სხვა) ასევე სასურველია ტოპოგეგმასთან ერთად ანგარიშს თან ახლდეს სიტუაციური გეგმა M=1:2000-ში.

დ ა ს კ ვ ნ ა

წარმოდგენილი საინჟინრო გეოლოგიური ანგარიში,შეესაბამება ქვეყანაში მოქმედ საანგარიშო ნორმებს და სტანდარტებს, მიღებული შედეგები შეიძლება გამოყენებული იქნეს ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული ნაგებობის დასაპროექტებლად თუ გათვალისწინებული იქნება ჩვენს მიერ დაფიქსირებული ზემოთაღნიშნული შენიშვნები.

ექსპერტი
ინჟინერ-გეოლოგი
გეოლოგიის დოქტორი /ს.გოგმაჩაძე/

13.09.2011

ქ.თბილისი

საექსპერტო დასკვნები ბოლო ხუთ წელიწადში: საინჟინრო გეოლოგია, სეისმიკა, ფუძეები და საძირკვლები

1.ვეძის ქ.N14 (სასამართლო)
2.ჩერქეზიშვილის ქ.N29 (სასამართლო)
3.ტ.ტაბიძის ქ.N16 (სასამართლო)
4.ვაჟა-ფშაველას გამზირისა და მარიჯანის ქუჩის კვეთაზე (სასტუმრო „აჭარა-პლიუს“ საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგებზე)
5.სასტუმრო „აჭარა-პლიუსი“
6.თბილისის აეროპორტი (სეისმიკა)
7.ყიფშიძის ქ. N16 (სასამართლო)
8.ფალიაშვილის ქ. N42 (სასამართლო)
9. ქ.ბათუმში რუსთაველის ქუჩასთან მიმდებარე შენობათა კომპლექსი (საინჟინრო გეოლოგიური კვლევა და სეისმიკა)
10. კეკელიძის ქ.N54 (საინჟინრო გეოლოგიური კვლევების შედეგებზე)
11. ფერისცვალების ტაძარი (დასაძირკვლების პირობებზე)
12. საყრდენი კედლები ბათუმი-ჩაქვის გადასარბენზე (კუდ)
13.ქ.თბილისში ლოკომოტივის სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე ფრანგული სკოლა (საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შედეგებზე)
14. ქ.თბილისში თავისუფლების მოედანზე „ჯი-ემ-თი პლაზას“ სამსართულიანი ავტოფარეხის დასაძირკვლების პირობები.
15.ქ.თბილისში რუსთაველის გამზირის N7-ში „ჯი-ემ თი უძრავი ქონების“ მრავალფუნქციური შენობის მშენებლობის პროექტის შედგენისათვის ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების შედეგები.
16.ქ. ბათუმში, გრიბოედობის ქ.N62-ში 18 სართულიანი შენობის განთავსების ტერიტორიის სეისმურობის შეფასება.
17.ქ. თბილისში, დიღმის მასივის პირველ კვარტალში 16 სართულიანი შენობის განლაგების ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების შედეგები.

18.ქ.ბათუმში, ქ.ქობულეთში და სოფ.ბობოყვათში ძველი სასტუმროების შენობების ფუძე-გრუნტების ძირითადი საინჟინრო-სეისმოლოგიური პარამეტრების დადგენა.
19.ქ.თბილისში, ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე ბოტანიკის ინსტიტუტისა და ჰერბარიუმის შენობათა კომპლექსის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები.
20.ქ.თბილისში, რუსთაველის ქ.N7-ში დაპროექტებული ნაგებობის საინჟინრო-გეოლოგიური, კონსტრუქციული და გაანგარიშებითი ნაწილის ექსპერტიზა.
21.თბილისი-გორი ჩქაროსნული საავტომობილო მაგისტრალის ,იგოეთი-მდ.ლეხურას წყლის მონაკვეთის ესტაკადებისა და ხიდების ბურჯების დასაძირკვლების პირობებზე.
22.ქ.თბილისში აეროპორტის გზატკეცილზე, ავტოვაზთან, საქართველოს ეროვნული ბანკის საცავის ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების შედეგებზე.
23.ქ.თბილისში წურწუმიას ქუჩა N 12-ში მრავალფუნქციური შენობის მშენებლობისათვის ჩატარებულ საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგებზე.

